

დამტკიცებულია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის
საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის
ბრძანება N04-13 (15.02.2019) დანართი N2
ცვლილება: N04-16 (21.02.2019) დანართი N2
N04-25(11.03.2019) დანართი N2
N04-34 (27.03.2019) დანართი N2



სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
სასტუმრო მომსახურება

მისამართი: მცხეთის რ-ნი, სოფ. წინამძღვრიანთკარი; დაბა სტეფანწმინდა

საკონტაქტო ინფორმაცია: 577215090; www.tmk.edu.ge
communitycollege@tmk.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: თინათინ ახალაშვილი

მცხეთა 2019

1. პროგრამის სახელწოდება: სასტუმრო მომსახურება/ Hotel Service
2. სარეგისტრაციო ნომერი: 10117-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში/Secondary Level Vocational Qualification in Hotel Service

მისანიჭებელი კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში შეესაბამება სწავლის დეტალურ სფეროს მომსახურება - პერსონალური მომსახურებები (კოდი 1013) - "სასტუმრო, რესტორანი და კვება - შეისწავლის საკვების, სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში".

4. პროგრამის მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადოს სასტუმრო მომსახურების სპეციალისტი.

5. დაშვების წინაპირობები

სრული ზოგადი განათლება

6. დასაქმების შესაძლებლობები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის სასტუმროში, როგორც დაბალი რგოლის თანამშრომლად, ისე საშუალო რგოლის პოზიციაზე, კერძოდ,

- სასტუმროებსა და განთავსების მსგავს ორგანიზაციებში (რესტორნებით და რესტორნების გარეშე) შემდეგ პოზიციაზე: სასტუმროს მიმღების ოპერატორები (4224 –ISCO), ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები (5151 – ISCO).

ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები - განყოფილება 55 და 56

7. სტრუქტურა და მოდულები

სასტუმრო მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 80 კრედიტი, რომელთაგან 8 კრედიტი არის ზოგადი მოდულები (2 მოდული) , ხოლო 72 კრედიტი (18 მოდული) არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	5
ჯამში		8

პროფესიული/დარგობრივი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება	2
2	ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი	4
3	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
4	ჰიგიენა და სანიტარული ნორმები	2
5	სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	4
6	კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის	2
7	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
8	პრობლემური სიტუაციების მართვა სასტუმროში	3
9	ინგლისური ენა ტურიზმის მომსახურების სფეროსათვის	5
10	სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა	4
11	სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა, ცვლის მოვალეობები და აუდიტი	8
12	სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა	5

13	სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა	3
14	მარტივი მარკეტინგული საქმიანობა სასტუმროში	5
15	სასტუმროს შესყიდვებისა და მარაგების უზრუნველყოფა	5
16	მეორე უცხოური ენა სასტუმრო მომსახურებისთვის (რუსული ენა)	5
17	სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	5
18	პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება	6
ჯამი		72

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. განახორციელოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურა;
2. უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება;
3. შეასრულოს სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობა;
4. უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოების წესების დანერგვა;
5. სასტუმროში მართოს პრობლემური სიტუაციები;
6. აკონტროლოს ცვლების მონაცვლეობა;
7. უზრუნველყოს სასტუმროს ძირითადი და დამატებითი მომსახურებების მიწოდება.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივმა კოლეჯმა შეიმუშავა სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომებს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის

გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროგრამა ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატვლობა), რომელიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთის მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;

- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

მოდულური სწავლების შემთხვევაში - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

დუალური სწავლების შემთხვევაში - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურებისას, ხოლო კვალიფიკაცია ენიჭება მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც მემორანდუმის მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

- სასტუმრო „ლმ კლუბ“ (LM CLUB) - თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. 29 ბ
- სასტუმრო სიმპათია - მის: თბილისი, დარასელიას ქუჩა N4
- სასტუმრო „თაუერ ყაზბეგი“ - მის. დაბა სტეფანწმინდა, კოსტავას N59
- სასტუმრო „KETINO'S HOME“ - მის. დაბა სტეფანწმინდა, გერგეტის ქუჩა N22
- სასტუმრო „სნო“ - მის. ყაზბეგი, სოფელი სნო

14 .არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით

15. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- ჩარჩო დოკუმენტი - სასტუმრო, რესტორანი და კვება

15. პროგრამის განხორციელების ადგილი:

მცხეთის რაიონი სოფ. წინამძღვრიანთკარი (ძირითდი სასწავლო კორპუსი, ოთახი N312/302 (თეორია) & N212/101(პრაქტიკა);

დაბა სტეფანწმინდა, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო ფართი

- **პრაქტიკული კომპონენტი:** სასტუმრო „ლმ კლუბ“ (LM CLUB) - თბილისი, ვ. მარჯანიშვილის ქ. 29 ბ; სასტუმრო სიმპათია - მის: თბილისი, დარასელიას ქუჩა N4; სასტუმრო თაუერ ყაზბეგი - დაბა სტეფანწმინდა; სასტუმრო „KETINO'S HOME“ - მის. დაბა სტეფანწმინდა, გერგეტის ქუჩა N22; სასტუმრო „სნო“ - მის. ყაზბეგი, სოფელი სნო

16. პროგრამის მოცულობა კრედიტებში:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 80 კრედიტი

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 110 კრედიტი

17. პროგრამის ხანგძლივობა:

მოდულური სწავლების შემთხვევაში

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 50 სასწავლო კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 72 სასწავლო კვირა

დუალური სწავლების შემთხვევაში

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 96 სასწავლო კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 118 სასწავლო კვირა

პროგრამის დანართები:

დანართი 1 -სასწავლო გეგმა

დანართი 2- პროგრამის განმახორციელებლები

დანართი 3 - ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 4 - უცხოური ენა (ინგლისური ენა)

დანართი 5 - გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება

დანართი 6 - ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი

დანართი 7 - პირველადი გადაუდებელი დახმარება

დანართი 8 - ჰიგიენა და სანიტარული ნორმები

დანართი 9 - სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა

დანართი 10 - კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის

დანართი 11 - გარემოსდაცვითი საფუძვლები

დანართი 12 - პრობლემური სიტუაციების მართვა სასტუმროში

დანართი 13 - ინგლისური ენა ტურიზმის მომსახურების სფეროსათვის

დანართი 14 - სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა

დანართი 15 - სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა, ცვლის მოვალეობები და აუდიტი

დანართი 16 - სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა

დანართი 17 - სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა

დანართი 18 - მარტივი მარკეტინგული საქმიანობა სასტუმროში

დანართი 19 - სასტუმროს შესყიდვებისა და მარაგების უზრუნველყოფა

დანართი 20 - მეორე უცხოური ენა სასტუმრო მომსახურებისთვის (რუსული ენა)

დანართი 21 - სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა

დანართი 22 - პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება

დანართი 23 - ქართული ენა A2

დანართი 24 - ქართული ენა B1